„ჩვენ არ ვიზრდით ხელფასებს. ხელფასები მოქმედი კოეფიციენტის მიხედვით იზრდება“

ალიონი. 21 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ხმაურის ფონზე ჩატარდა. „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები რამდენჯერმე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

სხდომის დაწყების წინ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა **თათია ნიკოლაშვილმა** განუცხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ ვინაიდან წინა დღით არ იყო შუქი, არ მუშაობდა ინტერნეტი,დროულად ვერ გაეცნენ საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, ამიტომ სხდომა უნდა გადაედოთ. იგივე პოზიცია

გვ-4

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 2 (10414) 31 იანვარი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთის ბაღებში თანამშრომელთა გათავისუფლება არ იგეგმება

– 2343 აღსაზრდელია სულ ოზურგეთის საბავშვო ბაღებში, მაგრამ სწავლის დაწყების შემდეგ, პირველ დღეებში, აღსაზრდელთა გამოცხადება იყო დაახლოებით10 პროცენტი. იყო ბაღები, სადაც საერთოდ არ გამოცხადდნენ ბავშვები. იყო ბაღი, სადაც 200 ბავშვიდან 20 მივიდა. შემიძლია ვთქვა რომ გამოცხადება დღესაც ნაკლებია. არის რამდენიმე საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვები არ გამოცხადებულან. დღეის მდგომარეობით (ინტერვიუ 25 იანვარს შედგა) 8 ბაღში თითო თანამშრომელს აქვს დადასტურებული კოვიდი, მაგრამ მათ არ ჰქონიათ შეხება ბავშვებთან, იზოლაციაში იყვნენ, ამიტომ, არ მოგვიწია აღნიშნული ბაღების გაჩერება. მხოლოდ ქ. ოზურგეთის მესამე საბავშვო ბაღი გადავიდა იზოლაციაში, რადგან აღმზრდელის თანაშემწე, რომელსაც დაუდასტურდა ვირუსი, წინა დღით იმყოფებოდა ბაღში და სიმპტომის გარეშე, გეგმიური ტესტირების დროს აღმოაჩნდა კოვიდი.

—საკრებულოს სხდომაზე ენმ-ის დეპუტატმა განაცხადა, რომ ბაღებში დაბალია აღმზრდელ-მასწავლებლების ხელფასი და იგი 150 ლარს შეადგენს.

— არცერთი საბავშვო ბაღის არცერთ თანამშრომელს არ აქვს 150 ლარი ხელფასი. რა თქმა უნდა გასულ კვირაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა განაცხადა, რომ ოზურგეთის საბავშვო ბაღებში აღმზრდელ-მასწავლებლების ხელფასი 150 ლარს შეადგენს და ბაღებიდან 200 თანამშრომლის გაშვება იგეგმება. ამასთან დაკავშირებით ა (ა) იპ ოზურგეთის ბაღების გაერთიანების უფროსს **მაკა ჭყონიას** ვესაუბრეთ:

გვ-3

მდინარე სუფსას ნაპირები აღარ აქვს

ალიონი. 27 იანვარს, მიუხედავად ცუდი ამინდისა, მძიმეწონიანი ავტომანქანები მდინარე სუფსის ხეობიდან ქვაღორღს ეზიდებოდნენ.

გასული შემოდგომის შემდეგ სუფსის ხეობაში არ ვყოფილვართ. მიზეზი ის გახლდათ, რომ გარემოსდამცველების და ჟურნალისტების ბრძოლას, როგორმე შეეჩერებინათ სილაური-ბაილეთი-ჯუმათის მონაკვეთზე ხეობის აოხრების სამუშაოები უშედეგო აღმოჩნდა. პირიქით, კომპანია „ქიუ ემ სის“ ხელმძღვანელებისაგან დაცინვა მივიღეთ: —*„ხომ ხედავთ, მდინარე სუფსის აუზის „გასწორხაზოვნებას“ ვახდენთ, თქვენ ჟურნალისტები კი ამას ვერ ხედავთო“*. ჩვენ კი ვხედავდით, მაგრამ ვისაც ზემოქმედება უნდა მოეხდინა და შეეჩერებინა უნებართვო და ბარბაროსული მოპოვება, ისინი ვერ „ხედავდნენ“.

ამ თემაზე გაზეთი „ალიონი“ წერდა 2021 წლის 9 აგვისტოს ნომერში: *„გასწორხაზოვნება თუ ქვიშა-ხრეშის უპრობლემოდ მოპოვების ახალი გეგმა.“*

„ქიუ ემ სიმ“ მიაღწია არა მარტო მაკონტროლებელი ორგანოების უმოქმედობას, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო მუხტის ჩაკვლას. ისინი დაარწმუნეს, რომ სოფელ სილაურსა და ბაილეთში 2-2 კილომეტრ ასფალტირებულ გზას გააკეთებდნენ.

რაც მათ ამ სოფლებთან გაფორმებული მემორანდუმით შეასრულეს, საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანიაში მონაწილეობა იყო(1 ჰექტარ მიწის დამუშავებზე 500 ლარიდან 170 ლარი მათი წილი იყო).. გლეხებმა გასულ გაზა-ფხულზე კი ისარგებლეს დაახლოებით 50-60 ლარი, მაგრამ სამთო მომპოვებლებს არც გზები დაუგიათ და უმშვენიერესი სუფსის ხეობა აოხრებული დატოვეს.

უპასუხოდ დატოვა წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გაზეთ „ალიონის“ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. ვითხოვდით, რომ მოეცათ წერილობით ან ელექტრონულად საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა კომპანია „ქიუ ემ სის“ სუფსის ხიდის მონაკვეთზე წიაღის ეროვნული სააგენტოს ნებართვები გასწორხაზოვნების და იქ ქვიშა-ხრეშის მოპოვების შესახებ.

წიაღის ეროვნული სააგენტომ ჩვენს წერილს არ უპასუხა, „ქიუ ემ სის“ არანაირი ნებართვა არ ჰქონდა და რას გვიპასუხებდნენ?

ამ დროს კი, უხეში დათვლით, დღის განმავლობაში სუფსის აუზში მომუშავე მძიმე წონიანი მანქანები 500-დან 600 რეისს ასრულებდნენ.

ამჟამად „ქიუ ემ სი“-მ აღნიშნულ ტერიტორიაზე მუშაობა დაასრულა, მაგრამ „გასწორხაზოვნების“ იქაურობას არაფერი არ ეტყობა: უზარმაზარი მორევი და ხიდის ზემოთ ნაპირჩამოცლილი ჭალები. გზას, იქ არსებულ ელექტროგადამცემ ბოძებს და ოზურგეთი-ბაილეთი-ჯუმათის 5-მალიან ხიდს საშიშროება ელოდება.

27 იანვარს, მდინარე სუფსაზე კომპანია „ნატა 2000“ ლიცენზიით შპს „სამი ძმა“ ლიცენზიით გათვალისწინებული კონტურების მიღმა მდინარია აუზიდან წიაღს იღებდა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ჯერ „ბორან ქონთრაშენი,“ ხოლო შემდეგ „ქიუ ემ სი“ იღებდა ქვა-ღორღს და აქაურობა ეკოლოგიურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მდინარის გაღმა მხარეს ნაპირები ჩამოშლილი აქვს და ახალსოფლელები თანდათან კარგავენ საყანე ფართობებს.

შპს „სამი ძმის“ ექსკავატორმა გარემოსდამცველების დანახვაზე მუშაობა შეწყვიტა და მათთვის ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე დაბრუნდა.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ** გარემოს დაცვის ბრიგადა გამოიძახა. შეჩერდა სამუშაო და აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

—მდინარე სუფსას ნაპირები აღარ აქვს, ელექტროგადამცემ ბოძებამდეა მდინარის სანაპირო ზოლი მოპარული.

ამ ადგილზე 7 კარიერული წარმოების ლიცენზია ჰქონდა

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვეორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მერის ახალი მოადგილეები დაინიშნა

ოზურგეთის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ,** თანამშრომლებს მერის მოადგილის ორ ვაკანტურ პოზიციაზე, **ნათია გოლიაძე** და **ნიკა ბოლქვაძე** წარუდგინა.

–*„მერიის გუნდს კიდევ ორი პროფესიონალი შემოუერთდა. საკადრო გადაწყვეტილება მივიღე და თანამშრომლებს მერის მოადგილის ორ ვაკანტურ პოზიციაზე ნათია გოლიაძე და ნიკა ბოლქვაძე წარვუდგინე. ნათია გოლიაძე ჯანდაცვისა და სოციალურ მიმართულებაზე იქნება პასუხისმგებელი, ხოლო, ნიკა ბოლქვაძე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას გაუწევს კურირებას. ნათიას და ნიკას კერძო სექტორში მუშაობის პოზიტიური გამოცდილება გააჩნიათ, იცნობენ მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, აქტიური კომუნიკაცია აქვთ საზოგადოებასთან და ჩვენი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო კამპანიასა და გამარჯვებაში საკუთარი წვლილი აქვთ შეტანილი,“*– განაცხადა ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარეს ახალი მოადგილე ჰყავს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ **ნინო ჭანიშვილი** აირჩია.

ნინო ჭანიშვილის კანდიდატურა კოლეგებს საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ წარუდგინა. ის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრია და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობს.

აღნიშნულ თანამდებობაზე ნათია გოლიაძე იყო არჩეული, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ დაინიშნა.

თხინვალში საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დასრულდა

სოფელ თხინვალში 150 ბავშვი სწავლას განახლებულ სკოლაში გააგრძელებს. განახლებული სკოლა მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველმა მოადგილემ გიორგი ციბაძემ გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. განახლდა წყალ-კანალიზაციის, სახანძრო, გათბობის, ელექტრომომარაგებისა და ვენტილაციის სისტემები. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 67 სკოლის მშენებლობა, 100 სკოლის რეაბილიტაცია და ენერგოეფექტური კომპონენტის გაძლიერება მიმდინარეობს. საგანმანათლებლო პროგრამას საქართველოს მთავრობა და დონორები (**CEB და NEFCO**) აფინანსებენ.

პროგრამის საერთო ღირებულება 300 მილიონ ლარზე მეტია.

– *„წინა წლებში, აქ სწავლისთვის უკიდურესად რთული პირობები იყო, დღეს კი სოფელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა აქვს, ახალი საკლასო სივრცეებით, სპორტული ინფრასტრუქტურით და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული პირობებით. ოზურგეთში, განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, წელს კიდევ ვგეგმავთ სკოლების განახლებას და რეაბილიტაციას“* – აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ.**

სოფელ კონჭკათში უამინდობამ პრობლემები შექმნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათში უამინდობამ პრობლემები შექმნა, ჩამოწვა მეწყერი. შუა ღელის უბანში, ხვარბეთი-კონჭკათის დამაკავშირებელ გზებზე მიწის მასა ჩამოიშალა და დაზიანდა შიდა სასოფლო გზები. ასევე, მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზა.

პრობლემური ადგილები, ოზურგეთის მერის მოადგილე ნიკა ბოლქვაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ტარიელ არაშიძესთან და შესაბამისს სამსახურებთან ერთად დაათვალიერა.

დამეწყრილ ტერიტორიებს გეოლოგები შეისწავლიან.

ოზურგეთში უკრაინის მხარდამჭერი აქცია გაიმართა

ოზურგეთში უკრაინის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. მათი განცხადებით, ისინი გმობენ რუსეთის ძალადობრივ პოლიტიკას.

აქციის მონაწილეები ასევე გამოეხმაურნენ პოლიციელის მიერ შშმ პირზე ფიზიკური ძალადობის ფაქტს.

„შევიკრიბეთ, რათა მხარი დავუჭიროთ უკრაინის ერთიანობასა და მთლიანობას. ვგმობთ რუსეთის ძალადობრივ ქმედებებს.

ამ აქციის მომზადების დროს გავრცელდა კადრები, რომელზეც ასახულია შშმ მოზარდზე ძალადობა. სამწუხარო ფაქტის წინაშე დავდექით, ვნახეთ როგორ უმოწყალოდ ურტყამს სამართალდამცველი შშმ მოზარდს. ამიტომ, ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა შშმ პირს", – განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

„ბახვი 1 ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვის დრო და ადგილმდებარეობა გარკვეულია

ბახვი1 ჰესის პროექტის(კურორტ ბახმაროს რეკრეაციულ ზონაში) გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვის ჩატარების ადგილმდებარეობის ცვილება, დააკმაყოფილა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

გარემოსდაცვითი სათემო ორგანოზაცია „ეკომ“ თემის აქტუალობიდან გამმდინარე მოითხოვა სამინისტროსაგან, საჯარო განხილვები პროექტთან დაკავშირებით ჩატარებულიყო ფართო აუდიტორიისათვის,

მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საჯარო განხილვა ჩატარდება:

1. 2022 წ. 10 თებერვალს 10 სთ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში;

2. 2022 წ. 10 თებერვალს 16. 30 წთ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში;

3. ამავე წლის 11 თებერვალს კი სოფლებში: მთისპირი და *ჩხაკოურა.*

ლელა იმედაშვილი: „მთავარია, ბავშვის განათლების უფლების შეზღუდვა არ უნდა ხდებოდეს“

ალიონი. გასულ კვირაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სკოლებიდან მასწავლებლების გათავისუფლების თემა იყო. ზოგიერთი სკოლის მასწავლებელი შეეგუა თავის ხვედრს და არ გაუპროტესტებია სკოლის გადაწყვეტილება, ზოგიერთმა სკოლამ შეძლო სტატუსის არ მქონე მასწავლებლების შენარჩუნება, ხოლო ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში, სადაც 3 პედაგოგი გაათავისუფლეს, ერთ-ერთი პედაგოგის გათავისუფლებას მშობლების პროტესტი მოჰყვა. თუ როგორ მიმდინარეობდა პედაგოგების რანჟირების პროცესი და როგორ აფასებს პედაგოგების სკოლებიდან გაშვების ფაქტებს, ამ თემაზე ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელს **ლელა იმედაშვილს** ვესაუბრეთ:

–2014 წლიდან ცნობილია, რომ ამუშავდა მასწავლებელთა ცოდნის ამაღლების ახალი სქემა, რომელმაც მკვეთრად განსაზღვრა პედაგოგების რანჟირება, ყველა შესაბამისი რანგის მინიჭება შესაბამისი სტატუსით, შინაარსით, ანაზღაურებით და დატვირთვით. მასწავლებლებისთვის ცნობილი გახდა, რომ უნდა დაედასტურებინათ ორი მიმართულებით კომპენტეცია–ეს იყო პროფესიული უნარების და საგნობრივი კომპენტენცია. უნდა ჩაებარებინათ გამოცდები, როგორც საგანში, ისე პროფესიულ უნარებში, რაც ბუნებრივია, მასწავლებბმა გააკეთეს კიდეც.

უკვე 8 წელია ეს გამოცდები ტარდება და მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაედასტურებინათ შესაბამისი კომპენტენცია. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ ვალდებულება დაეგროვებინათ გარკვეული კრედიტები სასწავლო საქმიანობის მიხედვით.

სხვადასხვა სტატუსს სხვადასხვა ზღვარი ჰქონდა დადგენილი. როცა ამ ზღვარს გადალახავდნენ, ეძლეოდათ სტატუსი და შესაბამისად, იზრდებოდა სახელფასო ანაზღაურება.

ყველა მასწავლებელი ამასთან დაკავშირებით იყო ინფორმირებული და ეს შანსები კიდევ უფრო გაიზარდა 4 წლის წინ, როცა მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცათ გამოცდები ჩაებარებინათ წილობრივი ქულებით. დადგინდა 4 ზღვარი: 1+4+7+10. მათ საკრედიტო ქულების დაგროვების შემთხვევაში, ეთვლებოდათ გამოცდა ჩაბარებულად და ყველა სხვა საქმიანობა სკოლაში გადაინაცვლებდა.

საგნობრივი კრედიტი იყო ძალიან დიდი შანსი მასწავლებლებისათვის. როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რთულია გამოცდა, შინაარსობრივად მესმის ხოლმე. არარელევანტურიაო –ამ შეფასებას ვერ მივიღებთ, რადგან გამოცდები არარელევანტურად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, როცა მას 80 ან 90 პროცენტი ვერ ჩააბარებს, მაგრამ როცა პირიქით ხდება, რელევანტურობაზე საუბარი არ შეიძლება.

იმათთვის, ვინც ვერ ჩააბარა გამოცდა, ვიმეორებ მათ შეეძლოთ ჩაებარებინათ კრედიტზე. აქ მაქსიმუმი 10 ქულა იყო. 3 წლის წინ იმ მასწავლებლებს, რომლებმაც გამოცდები ვერ ჩააბარეს ზაფხულში, იანვარშიც მიეცათ გამოცდების ჩაბარების საშუალება. ამის შემდეგ მასწავლებლებს ვაფრთხილებდით, რომ გამოცდების ჩაბარება იყო მათი ვალდებულება.

შარშან სქემამ ამოწურა თავისი როლი. ვინც ვერ ჩააბარა, ამ მასწავლებლებს სტატუსი აღარ განესაზღვრათ. მათ ჩვენ უსტატუსო მასწავლებლებს ვეძახდით. ამჟამად სკოლაში გვყავს უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები. ის სიტყვა –პრაქტიკოსი, რომელიც ამ ხალხს ჰქონდათ მინიჭებული უკვე აღარ ფიგურირებს სქემაში.

მაინც აღმოჩნდა, რომ ზაფხულის გამოცდაზე მასწავლებელთა გარკვეულმა კატეგორიამ ვერ ჩააბარა გამოცდები. სექტემბერში ასეთ მასწავლებლებს გაუფორმდათ ხელშეკრულება დეკემბრამდე, ანუ სექტემბერში ამ ადამიანებმა იცოდნენ, რომ ხელშეკრულება იყო ვადიანი და იგი დეკემბერში ამოიწურებოდა.

სხვა ვარიანტი სკოლებს არ ჰქონდათ, რადგან ეს პროცესი მოხდა ქვეყნის მასშტაბით.

კონკურსის წესით ჩვენ ავიყვანეთ შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლები.

– როგორ წარიმართა შემდეგ პროცესი, თავიდან ხომ გამოცდებზე გასვლა ნებაყოფლობითი იყო?

– რაც შეეხება ვალდებულებას, 2014 წლიდან იგი ნებაყოფლობითი იყო. მაშინ ყველა მასწავლებელი გახდა პრაქტიკოსი და რანჟირება ხდებოდა გამოცდების ჩაბარების შემდეგ. ვიცი, გამოცდებისთვის ფსიქოლოგიურად უნდა მომზადებულიყვნენ. აქ საუბარი იყო გასვლის ვადებზე, მაგრამ გამოცდების გარეშე მათ სტატუსი რომ არ შეუნარჩუნდებოდათ, ეს თავიდანვე იყო ცნობილი.

– დაახლოებით რამდენმა ადამიანმა ვერ ჩააბარა ოზურგეთიდან გამოცდები?

– წელს გამოცდები ვერ ჩააბარა 71 უსტატუსო მასწავლებელმა, რომელთაც სექტემბერში გაუფორმდათ შესაბამისი ხელშეკრულება.

მთავრობის დადგენილების შესაბამისად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც სკოლას პირველი სემესტრის დასრულებამდე უნდა გაეფრთხილებიათ უსტატუსო მასწავლებლები მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ და მათ ადგილებზე უნდა გამოეცხადებინათ შიდა ან გარე კონკურსი.

სკოლა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, აცხადებს შიდა კონკურს, ანუ ანაწილებს საათებს სკოლის შიგნით, ხოლო სკოლას როცა ამის შესაძლებლობა არ აქვს, აცხადებს გარე კონკურსს.

გარე კონკურსის შემთხვევაში, როცა არავინ შევიდა კონკურსზე, ესეც მთავრობის დადგენილებით იყო განსაზღვრული, სკოლას ჰქონდა უფლება გაეგრძელებინა უსტატუსო მასწავლებელთან ხელშეკრულება.

სტატისტიკურად 71 მასწავლებლიდან 44-ს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ხოლო დანარჩენებთან სკოლებმა ხელშეკრულებები გააფორმეს.

– ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში 3 პედაგოგი გაათავისუფლეს, რომელთაც სკოლაში მუშაობის დიდი გამცდილება ჰქონდათ და კარგი ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ..

–№2 საჯარო სკოლაში გარკვეულ საათებზე გამოცხადდა გარე კონკურსი, ხოლო ნაწილი საათებისა, გადანაწილდა სკოლაში მომუშავე პედაგოგებზე.

№2 საჯარო სკოლის დირექტორმა სამთავე უსტატუსო მასწავლებელს შესთავაზა გახანგრძლივებული (მე-2 ცვლის) მოსწავლეებთან საგანმანათლებლო მუშაობა, რაზედაც ერთ-ერთი დათანხმა, თუმცა შემდეგ მანაც უარი განაცხადა.

–ამას მშობლების პროტესტიც მოჰყვა.ისინი თვლიან რომ პედაგოგს უსამართლოდ მოექცნენ...

– ძალიან ვწუხვარ. №2 საჯარო სკოლის მე-4 „დ“ კლასში სკოლამ უკვე დანიშნა უფროსი მასწავლებელი. მე ვხედავ, რომ ეს არის მართული პროცესი. არ გამოვრიცხავ, რომ ამ პროცესში მასწავლებელიც იყოს ჩართული. არსებობს გამოხატვის უფლება, მაგრამ მთავარი – ბავშვის უფლებები არ უნდა დაირღვეს.

მე-4 -„დ“ კლასში 16 მოსწავლე ირიცხება, საიდანაც ორს კოვიდი აქვს, ხოლო სამი მოსწავლე თვით იზოლიაციაში იმყოფება. კიდევ ერთი მოსწავლე ერთ-ერთი სოფლიდან ვერ დადის, რადგან დიდი თოვლია. 2-3 მოსწავლე ყოველდღიურად ესწრება სკოლაში გაკვეთილებს. სკოლის დირექტორი შეხვდა მშობლებს. თუკი დავინახავთ, რომ ხდება მშობლების მხრიდან ბავშვების შეზღუდვა, სოციალურ სამსახურს ჩავაყენებთ საქმის კურსში, მით უფრო, რომ მე-4 კლასის მოსწავლეები ვერ მიიღებდნენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას უფროსების ჩარევის გარეშე.

მშობლების თხოვნა –დააბრუნონ მასწავლებელი სკოლაში, არაა სკოლის დირექციის გადასაწყვეტი –ეს ყველაფერი მთავრობის დადგენილების და სამინისტროს ბრძანების საფუძველზე მოხდა..

– სკოლებიდან წასულ პედაგოგებს სხვა რა შანსი აქვთ სკოლაში დასაბრუნებლად?

– უსტატუსო მასწავლებლებს შეუძლიათ ზაფხულში კვლავ მიიღონ გამოცდებში მონაწილეობა. წარმატების შემთხვევაში მათ შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში სკოლების მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე.

ოზურგეთის ბაღებში თანამშრომელთა გათავისუფლება არ იგეგმება

რიცხულ ხელფასებზე ვსაუბრობთ. კონკრეტულად რომელ პოზიციაზე გაინტერესებთ ანაზღაურება?

– მაგალითად, რამდენია საბავშვო ბაღებში ექთნის ანაზღაურება?

– გააჩნია ბაღში ჯგუფების რაოდენობას.

– ექთნის ყველაზე მცირე და ყველაზე მაღალი ანაზღაურება რომ გვითხრათ ...

-ერთჯგუფიან ბაღში შეიძლება იყოს 300 ლარი.450 ლარია პირველი ცვლის აღმზრდელ-მასწავლებლის ანაზღაურება. აღმზრდელის თანაშემწის კი 410 ლარი. ვიმეორებდარიცხულ ხელფასზე ვსაუბრობ. როგორც ჩვენთვის ცნობილია ივნისიდან მოხდება ხელფასების მატება 20%-ით ყველა თანამშრომლისთვის.

– შეესაბამება თუ არა სიმართლეს ინფორმაცია სამსახურიდან 200 თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ?

– ეს ინფორმაცია არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს. არც ერთი თანამშრომელი სამსახურიდან არ გაგვიშვია. ხელშეკრულებით 200 ადამიანი არც გვყავდა. სულ 57 თანამშრომელია ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დასაქმებულს ეგზავნება ერთი თვით ადრე შეტყობინება, რომელიც მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ არცერთ თანამშრომელს არ გაგზავნია.

ესაუბრა

მარი კოკოევი

მდინარე სუფსას ნაპირები აღარ აქვს

წიაღის ეროვნულ სააგენტოს გაცემული. შედეგად: მდინარე-მდინარეს აღარ ჰგავს, დაჭაობებულია ჰექტრობით ტერიტორია, საყანე ფართობები დაკარგული, იავარქმნილი მდინარე, გზები...

თუ რას მოიმოქმედებს გარემოსდაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტი , ვნახავთ. მგონი ეს ინსტანცია ბრმაა და ყრუ?

ჩვენ კვლავ შევამოწმებთ აღნიშნულ და ყველა მოქმედ კარიერს გურიაში – გვითხრა „ეკოს“ დამფუძნებელმა ირმა გორდელაძემ.

გაზეთი „ალიონი“ შპს „სამი ძმა“ მენეჯერს ესაუბრა:

–ხუთშაბათს დილიდან მონასტერში ვიყავი და არ იცოდი, თუ იქ ტრაქტორი მუშაობდა. „სამი ძმის“არც ოპერატორი იმყოფებოდა ადგილზე, რომ დაეზუსტებინა ლიცენზიით გათვალისწინებული კონტურები. სამწუხარო ფაქტია – ჩვენთან შეუთანხმებლად მოხდა გადაცდენა. ჩვენ ამ ადგილს მხოლოდ ავტომანაქანების ხეობაში ჩამოსაყვანად ვიყენებდით. არც გვაწყობდა ამ ტერიტორიაზე ქვა-ღორღის აღება, რადგან ეს ადგილი ერთგარი ხელოვნური ჯებირია და ჩვენს კარიერს იცავდა მდინარი ადიდებისას –გვითხრა შპს „სამი ძმა“ მენეჯერმა **კახა ჩხარტიშვილმა.**

„ჩვენ არ ვიზრდით ხელფასებს. ხელფასები მოქმედი კოეფიციენტის მიხედვით იზრდება“

ჰქონდა დაბა ნასაკირალის მაჟორიტარს ბესო ქათამაძესაც.

საკრებულოს თავმჯდომარემ არ გაიზიარა მათი მოთხოვნა და სხდომა დაიწყო.

დაპირისპირება მმართველი პარტიისა და „ნაცმოძრაობის“ დეპუტატებს შორის — „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ —საკითხს მოჰყვა.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ** მოუწოდა დეპუტატებს მხარი არ დაეჭირათ ამ პროექტისათვის:

—ვაყენებ საკითხს, პოლიტიკური თანამდებობის პირების ხელფასების ზრდა გავაუქმოთ, რადგან ქვეყანაში მართლაც დიდი ეკონომიკური კრიზისია. მათ ნაცვლად ხელფასი საბავშვო ბაღების თანამშრომლებს და მეეზოვეებს მოვუმატოთ, რომელთაც მიზერული ანაზღაურება აქვთ. რაც შეეხება აპარატის თანამშრომლების ხელფასებს, მათი ანაზღაურება მარტის თვიდან გავზარდოთ

ამ თემაზე ერთმანეთს დავით მჟავანაძე და საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ხომერიკი დაუპირისპირდნენ.

—„ქართული ოცნების“ ხელისუფლება ხალხის სამსახურშია და ყოველთვის ასე იქნება. გეყოთ ახლა, საკმარისია.სამარცხვინოები ხართ ყველა.

მჟავანაძემ ხომერიკს უპასუხა:

— თქვენ ამტკიცებთ, რომ 150 ლარი ყოფილა ღირსეული ხელფასი, წარმომიდგენია, ამ დროს რა ბედნიერები არიან ბაღის თანამშრომლები, რომ სამაგიეროდ დავით დარჩიას ხელფასი გახდა 4500 ლარი. პოლიტიკური თანამდებობის პირების და ფრაქციის წარმომადგენლების ხელფასიც იზრდება, მათ შორის ჩემიც. ეს არის სირცხვილი, რასაც თქვენ ეხლა აკეთებთ და მე მოვიწოდებთ, რომ თავი შეიკავოთ ამ გადაწყვეტილების მიღებისგან. პირველ ეტაპზე კი ხელფასები გავუზარდოთ ბაღის თანამშრომლებსა და მეეზოვეებს.

—ჩვენ არ ვიზრდით ხელფასებს. ხელფასები მოქმედი კოეფიციენტის მიხედვით იზრდება . ეს პროცესი მთელი საქართველოს მაშტაბით მიმდინარეობს. საკრებულოებში ბოლო 8 წელიწადია ხელფასი არ გაზრდილა, ამიტომ ხდება მაღალი რანგის პროფესიონალების გადინება. მუნიციპალიტეტებში სანთლით საძებნელი გაგვიხადეს მაღალი რანგის პროფესიონალები — თქვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ლავრენტი ბიგვავამ.**

ფრაქცია „ნაცმოძრაობის“ დეპუტატებს შემოქმედი-ბოხვაურის მაჟორიტარი დეპუტატი **ნუგზარ სარჯველაძეც** შეეპასუხა:

—თქვენი პარტია სისხლს წოვდით ხალხს, ღამის ორ საათზე და სამ საათზე ნოტარიუსებით იფორმებდით ქონებას. ცემაში სულს ხდიდით ხალხს და თუ სახელმწიფო მოხელე შრომობს და ხელფასი გაეზარდა, რაა გასაკვირი

*—შენ ასლან აბაშიძესთან რომ იყავი, ის გიხსენე —*უპასუხა დავით მჟავანაძემ სარჯველაძეს.

— რაის ასლანა, პროვოკატორები ხართ, ნახეთ ჩემი CV თუ ვყოფილვარ ოდესმე რომელიმე პარტიაში, შუბლის ძარღვი გაქვთ გაწყვეტილი, ენაზე რაც მოგადგებათ ყველაფერს ლაპარაკობთ...— თავი ვერ შეიკავა ენმ-ის დეპუტატებისაგან შეურაცხყო-ფილმა დეპუტატმა ნუგზარ სარჯველაძემ.

ენმ-ის დეპუტატები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს გიორგი ღურჯუმელიძესაც გადაწვდნენ და უთხრეს, რომ მმართველი პარტია არჩევნების წინ ბაღების თანამშრომლებს ხელფასის ზრდას შეპირდა.

—საარჩევნოდ ჩვენ არანაირი პირობა ან ვალდებულება არ გაგვიცია. მეტი სიახლოვე უნდა იქონიოთ სამართლებრივ აქტებთან. საჭიროა ბაღების თანამშრომლებისთვის და მეეზოვეების ხელფასები გაიზარდოს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ თქვა, რომ მუნიციპალიტეტის მერია იზრუნებს, მინიმუმ 20 პროცენტიდან ზევით გაიზარდოს მათი ხელფასები — უპასუხა **გიორგი ღურჯუმელიძემ.**

ამის შემდეგ ენმ-ის დეპუტატებმა სხდომა დატოვეს.

საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცეს.

სხდომის დასრულების შემდეგ დეპუტატმა ქეთევან ხომერიკმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა:

—ეს არის ნაციონალური მოძრაობის ნარატივი. ისინი ცდილობენ ქვეყნის დესტაბილიზაციას. საკრებულოს ყველა სხდომაზე ცდილობენ იყოს არეულობა. წინა სხდომაზე მათ მხარი არ დაჭირეს

პროექტს, რომელიც ბაღის პედაგოგების ხელფასების ზრდას შეეხებოდა.

ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ ჩვენს პედაგოგებს ჰქონდეთ ღირსეული პირობები, ბაღების თანამშრომლებს გავუზარდოთ ხელფასი. ამ საკითხზე ავთანდილ თალაკვაძისაგანაც გაქვთ შესაბამისი ინფორმაცია — განაცხადა ხომერიკმა.

ენმ-ის ბრალდებებთან დაკავშირებით, განცხადება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამაც გაავრცელა:

„ბოლო 2 დღის განმავლობაში საზოგადოება ოზურგეთში თვალს ადევნებს „ნაციონალური მოძრაობის“ და „ტვ პირველის“ ორკესტრირებულ კამპანიას და პოლიტიკურ სპეკულაციებს ბაღების თანამშრომლების ხელფასებთან დაკავშირებით. დასახელებული რიცხვები მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებით, ბრალდებები და თანამშრომლების მასიური გათავისუფლების შესახებ, გადაუმოწმებელი ცნობები გახლავთ სრული სიცრუე.

სიმართლე გახლავთ შემდეგი: ბაღების თანამშრომლებს 2022 წლის 1 ივნისიდან ხელფასები 20%-ით გაეზრდებათ — ამის შესახებ, ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ საკრებულოს ჯერ კიდევ, წინა წლის 28 დეკემბერს მიმართა და საკრებულოს უმრავლესობამ აღნიშნულს მხარი დაუჭირა. ბიუჯეტის პროექტს, რომელშიც ბაღის თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდა იყო ასახული, საკრებულოს სხდომაზე მხარი არ დაუჭირეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა. „ტვ პირველის“ მხრიდან გავრცელებული ცნობა, თითქოს ბაღის აღმზრდელის ხელფასი 150 ლარს შეადგენს, გახლავთ დეზინფორმაცია. სინამდვილეში, ხელფასები რომელიც დაგვხვდა წინა ადმინისტრაციისგან, პირველი ცვლის შემთხვევაში 450 ლარს, მეორე ცვლის კი 370 ლარს შეადგენს, ძიძის ანაზღაურება კი 410 ლარია. ბაღებიდან თანამშრომლების მასიური გათავისუფლება არ მომხდარა და არც იგეგმება“—წერს მერია თავის განცხადებაში.

ბახმაროში 1000-მდე უკანონოდ აშენებული სახლია - რას გეგმავს მუნიციპალიტეტი



ჩოხატაურის მერიის ბოლო მონაცემებით, ბახმაროში 1000-მდე უკანონოდ აშენებული სახლია.

მუნიციპალიტეტს გამოცემული აქვს დადგენილებაც, სადაც წერია, რომ სახლები დემონტაჟს ექვემდებარება, რადგან ადგილზე მიწა თვითნებურადაა მისაკუთრებული. ამის მიუხედავად, ადგილობრივი ხელისუფლება პრობლემის მოგვარებას წლებია ვერ ახერხებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალი მერი, **დავით შარაშიძე** კი „ბიზნესპარტნიორთან“ პირობას დებს, რომ 2022 წლიდან ბახმაროში ვერცერთი სახლი უკანონოდ ვეღარ აშენდება. მისივე განმარტებით, კურორტზე სამშენებლო ზონაში აღარც თავისუფალი მიწის ნაკვეთებია დარჩენილი.

„თამამად შემიძლია გითხრათ, ბახმაროში არცერთი უკანონო სახლი აღარ აშენდება.ტერიტორია სახელმწიფოს კუთვნილებაა, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. ვიღაცამ უკანონოდ ეკონომიკის სამინისტროს კუთვნილ მიწაზე დადგა სახლი, რომელსაც არც სამშენებლო ნებართვა ჰქონდა, არც ნახაზი და არც განაშენიანების გეგმას ითვალისწი-ნებდა. გამოტანილი გვაქვს დადგენილება, გადაგზავნილი გვაქვს აღსრულებაში, დაწერილია 25 000 ლარიანი ჯარიმები, მაგრამ შედეგი მაინც არ არის. მიდიან და თვითნებურად აშენებენ სახლებს. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში გრძელდება და ძალიან უშლის ხელს ბახმაროს განვითარებას. სოკოებივით არის ამოსული და ვერც კანალიზაცია კეთდება და ვერც წყლის სისტემა. რეალურად, კანალიზაცია დარეგისტრირებულ მიწაზე უნდა გაკეთდეს და სადაც უნდა გაითხაროს, მილები ჩაიდოს და დამონტაჟდეს, იქ უკანონო მშენებლობებია. ჩვენ თუ გვინდა, რომ ბახმარო განვითარდეს, წინ წავიდეს, პირველ ეტაპზე საკანონმდებლო დონეზე უნდა მოვევლოს ამ უკანონო მშენებლობებს. უნდა შევიმუშაოთ გეგმა, თუ როგორ მოვაბრუნოთ ეს საქმე. არც ის საზოგადოება უნდა დარჩეს უკმაყოფილო, ვინც ეს უკანონო მშენებლობები წამოიწყო, თუმცა არც კურორტი უნდა დაზიანდეს. ოპტიმალური გეგმა გვჭირდება“,- აღნიშნავს „ბიზნესპარტნიორთან“ ჩოხატაურის მერი.

დავით შარაშიძე ამბობს, რომ უკანონო ე.წ კოლების დანგრევის პროცესში დაუდგენელმა პირებმა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი მძიმე ტექნიკა დააზიანეს. ამის შემდეგ სამუშაოების გაგრძელება ვეღარ მოხერხდა.

„30 ოქტომბერს ბახმაროში ავიყვანეთ მძიმე ტექნიკა და დავიწყეთ უკანონო ე.წ კოლების დანგრევა. ეს კოლები ბეტონის, ან ქვების პატარა ბოძებია, რაზეც შემდეგ სახლებს აწყობენ. ასეთი 150-მდე უკანონო კოლი დავანგრიეთ მძიმე ტექნიკით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 150 უკანონო სახლის აშენებას შევუშალეთ ხელი. შემდეგ, სამწუხაროდ, მავნე ადამიანებმა ღამით ჩვენს მძიმე ტექნიკაში, ძრავში და ავზში ჩაყარეს სილა რის შედეგადაც დაგვიზიანდა ტრაქტორი და ვეღარ გავაგრძელეთ სამუშაოები. ახალი სეზონი რომ დაიწყება, კიდევ უფრო გავამკაცრებთ ბახმაროში როგორც ხე-ტყის შეტანის, ასევე უკანონო მშენებლობების კონტროლს“,- განმარტავს ჩოხატაურის მერი.

ჩოხატაურის მერს ამ ეტაპზე კონკრეტულ გეგმაზე საუბარი უჭირს. ამბობს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან და გურიის გუბერნატორთან ერთად უნდა გადაწყვიტონ, რა ბედი ეწევა უკანონოდ აშენებულ სახლებს და როგორ განვითარდება ამის შემდეგ კურორტი. ჩოხატაურის მერს ვკითხეთ, განიხილება თუ არა მოლაპარაკების პროცესში უკანონო მშენებლობების დემონტაჟი, რაზეც შარაშიძემ გვიპასუხა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არც ამ ნაგებობების მეპატრონეების განაწყენება სურს.

„ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. საქმეში ჩართულია გურიის გუბერნატორიც და ვმსჯელობთ ამ თემაზე. სულ მალე გადავწყვეტთ, რა ბედი ეწევა უკანონო მშენებლობებს და როგორ განვითარდება შემდეგ კურორტი. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ არც საზოგადოება გავანაწყენოთ. მათ ვგულისხმობ, ვისაც ამ მშენებლობებისთვის ფული აქვს გადახდილი. მასალის ატანა, ბლოკი, ცემენტი ხომ თანხა ჯდება. ამას ვითვალისწინებთ. არ გვინდა, რომ ხალხი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდეს, მაგრამ მათაც უნდა გაიგონ ჩვენი. უკანონობას ხელს ვერ შევუწყობთ“,— განაცხადა ჩოხატაურის მერმა „ბიზნესპარტნიორთან“.

ავტორი: მარიამ ვაჩნაძე
ბიზნეს პარტნიორი

სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეები მოინახულეს

დიდთოვლობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება სპეციალური საჭიროების მქონე პირებსა და ხანდაზმულ ადამიანებს ეთმობათ.

ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ, მოადგილესთან ნათია გოლიაძესთან ერთად და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო ჭანიშვილმა ქალაქ ოზურგეთში, ბოხვაურსა და მაკვანეთში სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეები მოინახულეს.

ბესიკ ლომინაძე

ეს ძალიან კეთილი იდეაა და არ შეიძლება შედეგი არ გამოიღოს!



საქართველოს აქვს რესურსი – აწარმოოს მთიანი რეგიონებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული წესით წარმოებული, ეკოლოგიურად სუფთა და სასარგებლო აგრო-სასურსათო პროდუქტები.

სამეცნიერო ლიტერატურა ნაკლებად იცნობს გურიაში ხორბლის წარმოების პრაქტიკას, თუმცა ადგილობრივებმა გადმოცემით იციან, რომ აქ ხორბალი ითესებოდა. სწორედ ამ თაობიდან თაობაზე გადაცემულ ინფორმაციას ჩაეჭიდნენ „გემოვანის“ დამფუძნებლები, რომლებიც ენდემური ჯიშის ხორბლის მოყვანის წახალისებით არიან დაინტერესებული. თამამი ექსპერიმენტის შედეგად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში ხორბლის პირველი ნათესები გაჩნდა – წითელი დოლი, შავფხა და თეთრი დიკა 23 ნოემბერს ორ ჰექტარზე დაითესა, ორ კვირაში ჯეჯილიც ამოიწვერა და ახლა თითოეული ღერის მილიმეტრებით ზრდას ყურადღებით აკვირდებიან.

მიწა, რომელზეც პირველი ხნული გაივლო, კერძო საკუთრებაა და ის ბესიკ ლომინაძის ფერმერულ მეურნეობას ეკუთვნის. აქამდე აქ ძირითადად სიმინდის მოსავალს იწვევდნენ, მაგრამ იმდენად დაუძლეველი აღნიჩნდა ხელოვნური ჩარევის გარეშე, ბუნებრივი კანონზომიერების დაცვით ნაწარმოები ქართული ჯიშის ხორბლის მოყვანის სურვილი, რომ ექსპერიმენტს დათანხმდნენ. რა მოლოდინები აქვთ ახალი წამოწყების მიმართ და რას გეგმავენ მომავალში, ბესიკ ლომინაძე გვესაუბრა.

– ბატონო ბესიკ, რა შეგიძლიათ გვითხრათ ენდემური ჯიშის ხორბლის გურიაში მოყვანის თაობაზე? თქვენი აზრით რამდენად გაამართლებს ეს ექსპერიმენტი?

– სოფლის მეურნეობაში ჩართული ვარ, ფაქტობრივად, 90-იანი წლებიდან. ჩემი ორი ძირითადი საქმიანობაა, ისევე, როგორც სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილისა, მესიმინდეობაა – სიმინდი მომყავს საქონლისთვის. ზოგადად, ასე გვსმენოდა, რომ გურიაში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოს ითესებოდა სიმინდი და აქამდე ეს მხარე ასე მოვიდა.

„გემოვანთან“ დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს, ვიცნობ მათ გეგმებს და ძირითადად მიზნებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში ადგილობრივი ჯიშის პროდუქციის წილის გაზრდას გულისხმობს და ვეთანხმები, რომ საქართველოს აქვს რესურსი – აწარმოოს მთიანი რეგიონებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული წესით წარმოებული, ეკოლოგიურად სუფთა და სასარგებლო აგრო-სასურსათო პროდუქტები, ამიტომაც, ჩემი და ირაკლი ჩავლეშვილის იდეა იყო, რომ გვეცადა, მოგვესინჯა ქართული ჯიშის ხორბლის მოყვანა ამ ტერიტორიაზე. საყანედ ავირჩიეთ დანასვენები მიწა, რომელიც დავამუშავეთ ტექნოლოგიურად, დავთესეთ ხორბალი და დღეისათვის, ფაქტობრივად, ჯეჯილს უკვე დაწყებული აქვს ამოსვლა.

– თუ გააამართლებს და ხორბლის კარგ მოსავალს მიიღებთ, აპირებთ თუ არა, კვლავაც განაგრძოთ ეს საქმე?

– ეს ჩემი პირველი შეხება იყო ხორბალთან და დიდი სურვილი მაქვს, რომ კარგი შედეგი მივიღოთ. არ მოვაკლებთ არაფერს, არანაირ ტექნოლოგიურ დეტალს, რაც ვიცით.

აგრონომებიც ჩართული გვყავს. მიწას, სახნავ ფართობს გურულები ვერ ვიყენებთ ისე, როგორც უნდა ვიყენებდეთ. მოგვყავს მხოლოდ სიმინდი და შემდგომი თვეები ეს მიწა თავისუფალია. ხორბალი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მაისის თვეში რომ მოსავალს ავიღებთ, დავთესოთ სიმინდი და თავისუფლად მოვასწროთ შემდეგი კულტურის მოსავლის მიღება. გვინდა მიწა დავტვირთოთ.

ჩემი სოფლის სახნავ-სათესი ტერიტორია 250 ჰექტარია. წელს 95% დათესილი გვქონდა, ტექნიკაც გვაქვს და ადგილობრივი მეაქანიზატორებიც ჩართულნი არიან. ანუ, ფაქტობრივად სიმინდი და ხორბალი გვინდა ისე მოვარგოთ ერთმანეთს, რომ ორი მოსავალი მივიღოდ. ეს წახალისებაც იქნება, ეკონომიკური სარგებელიც და, ბოლოს და ბოლოს, ღვთიური საქმეც.

ხორბალს რომ ადამიანი მოიყვანს და გლეხი სახლში მიიტანს, ამაზე დიდი ბედნიერება ცოტა რამაა, ჩემი აზრით. მე დიდ პატივს ვცემ ხორბალს და იმ კულტურას, რაც ჩვენს, ქართულ მიწაზე მოდის.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად შეცვლის სოფლის მეურნეობის ხვალინდელ დღეს ეს ჩანაფიქრი, რაც „გემოვანის“ დამფუძნებლებს აქვთ?

– მე, პირადად, სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა ძალიან მცირედით დავიწყე - 1-2 სული მყავდა. ახლა საქონელიც მყავს და რემაც, აქ მთავარია ერთი რამ – საქმე უნდა გიყვარდეს და შეუძლებელი არაფერია. გაზაფხულზე მიწას გადაბრუნებისას თავისებური სუნი აქვს. ეს სუნი თუ არ იგრძენი, სოფლის მეურნეობიდან და მიწასთან მუშაობიდან ვერაფერს იშოვნი. ყველა საქმე ასეა – თუ არ გიყვარს, არაფერი გამოვა. მე მომწონს ამ ხალხის მიდგომა და ვფიქრობ, რომ თითოეული სოფლის სპეციფიკის გათვალისწინებით დაწყებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ხალხს სოფლისკენ მოახედებს. ეს ძალიან კეთილი იდეაა და არ შეიძლება შედეგი არ გამოიღოს.

ფონდ „გემოვანის“ გაზეთი „წერილი“, დეკემბერი, 2021 წ.

50 წლის ასაკის ზემოთ კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინით აცრაზე 200-ლარიანი წახალისება თებერვლის განმავლობაშიც გაგრძელდება

50 წლის ასაკის ზემოთ კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინით აცრაზე 200-ლარიანი წახალისება თებერვლის განმავლობაშიც გაგრძელდება, ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირები ე.წ ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში 100 ლარს მიიღებენ, აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დღევანდელ სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრ-აციაში გაიმართა.

საბჭოს სხდომაზე განიხილეს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება. აღინიშნა, რომ ინფიცირების მზარდი მაჩვენებლების მიუხედავად, ჰოსპიტალური სექტორის დატვირთვის მაჩვენებელი არ იზრდება, რაც „ომიკრონის“ შტამის საკმაოდ სუსტ მიმდინარეობაზე მიუთითებს. თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, საფრთხე მაინც მაღალია, განსაკუთრებით მაღალ ასაკობრივ ჯგუფებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებში, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვაქცინაციას და ორჯერადად ვაქცინირებული პირების ე.წ ბუსტერ დოზით აცრას.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, ჯანდაცვის სამინისტრო განაგრძობს აქტიურ მუშაობას ქვეყნის მასშტაბით, ვაქცინაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და თავი აარიდონ ხალხმრავალ შეკრებებს, ხოლო ვირუსის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, დარჩნენ სახლში.

ამასთან, როგორც ცნობილია, იზრდება ონლაინ-კლინიკების რესურსები, რათა მსუბუქმა პაციენტებმა, რომლებიც ბინაზე მკურნალობენ, ოჯახის ექიმების კონსულტაცია შეუფერხებლად მიიღონ.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

როდის უნდა გაკეთდეს ბუსტერ დოზა – ბიძინა კულუმბეგოვის განმარტება

რა დრო უნდა იყოს გასული ინფიცირებიდან და ვაქცინაციიდან, რომ მოქალაქემ ბუსტერ დოზის გაკეთება შეძლოს – ამ კითხვას ექიმი ალერგოლოგ-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი პასუხობს.

„კორონავირუსის გადატანიდან ბუსტერ დოზა უნდა გაკეთდეს 30 დღის შემდეგ და ბოლო ვაქცინაციიდან 90 დღეზე მეტი უნდა იყოს გასული. ეს ორივე კრიტერიუმი უნდა იყოს შესაბამისობაში, რომ ბუსტერული დოზა გავიკეთოთ“– განმარტავს კულუმბეგოვი.

იმისთვის, რომ ინფიცირების მაჩვენებლები სწრაფად არ გაიზარდოს, კულუმბეგოვი მოსახლეობას, განსაკუთრებით კი 50 წელს ზევით მოქალაქეებს, მესამე ბუსტერ დოზის გაკეთებისკენ მოუწოდებს.

„პირველ რიგში, აუცილებელია, გამოიყენოთ პირბადე და გაიკეთეთ მესამე ბუსტერული დოზა, ვისაც ეს ეკუთვნის, განსაკუთრებით 50 წელს ზევით მოქალაქეებმა სწრაფად დაიმატეთ, რათა ინფიცირების მაჩვენებლები ასე სწრაფად არ გაგვეზარდოს“ – განაცხადა ბიძინა კულუმბეგოვმა.

პროექტი „სუფთა წყალი ბავშვებს“ გრძელდება



ისრაელის კომპანია **„NUF FILTRATION"** მემბრანული ფილტრები.უახლესი ინოვაციური ტექნოლოგია

ისრაელის საელჩოს დახმარებით უკვე ორი წელია ხორციელდება საპილოტე პროექტი„სუფთა წყალი ბავშვებს" რომელიც ითვალისწინებს სკოლებში და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში სადაც სასმელი წყალი დაბინძურებულია ეშერეხია კოლის(ნაწლავის ჩხირები) კოლიფორმის და სხვა ბაქტერიებისაგან.

პროექტს ანხორციელებს „საქართველო შალომ კლუბ- გურია" (ხელმძღვანელი ზაურ ოსეფაიშვილი) ისრაელის, სლოვაკეთის, იაპონიის საელჩოსთან და გაეროს ბავშვთა ფონდ **„unicef"** - თან ერთად რეგიონების შალომ კლუბების და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით.

ამჟამად შემოტანილია და დამონტაჟებულია 20 დანადგარი. 2022 წელს შემოტანილი იქნება და საბავშვო ბაღებში დამონტაჟდება კიდევ 38 დანადგარი.

კომპანია **„NUF FILTRACTIO** "წყლის გასაფილტრი დანადგარების სხვადასხვა მოდელები გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით,სოფლის მეურნეობაში,საცურაო აუზების გასუფთავებისათვის ქლორის გამოყენების გარეშე, მდინარების ღელეების წყლის გასფილტრად. ასევე ქალაქისა და სოფლის წყალსადენებისათვის.

ტკივილიანი წარსულის გახსენება

მაყვალა და რამინი ჯინჭარაძეების ხსოვნას



ოზურგეთის სკოლა-ინტერნატი ერთ-ერთი მოწინავე სასწავლო დაწესებულება იყო საქართველოს განათლების სისტემაში.

აქ 1964 წლის შემოდგომაზე დავწყე მუშაობა. ბუნებრივია, ყველა აქ მომუშავე გავიცანი. განსაკუთრებულად დავუახლოვდი სკოლა-ინტერნატის სამეურნეო ნაწილის გამგე რამინი ჯინჭარაძეს და მის მეუღლეს, ინტერნატის დიასახლისს მაყვალა ჯინჭარაძეს.

არც შევმცდარვარ, ეს საუკეთესო წყვილი ავლენდა ურთიერთობის დიდ სიყვარულს, ერთგულებას და პატივისცემას. ისინი ასევე გამოირჩეოდნენ დიდი პასუხისმგებლობით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

მოსწავლეთა და მშობელთა რთული კონტიგენტის გამო, რთული იყო სკოლა-ინტერნატში მუშაობა. მიუხედავად ამისა, მაყვალა და რამინი ჯინჭარაძეები, სკოლა-ინტერნატის სხვა თანამშრომლებთან ერთად 24-საათის განმავლობაში მშობლიური მზრუნველობით ემსახურებოდნენ აღსაზრდელებს.

მეტად სასიამოვნო იყო ქალბატონ მაყვალას სამუშაო ოთახში შესვლა. მიუხედავად ოთახის სიძველისა, აქ იყო უზადო სისუფთავე, კრახმალისა და უთოს სურნელება. ოთახის ყველა წერტილში იგრძნობდი, რომ ოთახს უვლიდა ქალი, რომელიც გამოირჩეოდა გონიერებით, ერთგულებითა და პასუხისმგებლობით.

ძალიან ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდა ბავშვების მიმართ. თითოეულ ბავშვს რამდენჯერმე მოარგებდა ტანსაცმელსა თუ ფეხსაცმელს, ისე, რომ გეგონებოდათ, მათთვის სპეციალურად იყო შეკერილი სამოსი.

ასევე ყურადღებიანი იყო ბატონი რამინი. იგი დღის ბოლოს ჩამოუვლიდა სასწავლო თუ სახინებელ კორპუსს, რომ სადმე რაიმე პრობლემა შეუმჩნეველი არ დარჩენოდა. ვთქვათ, ფანჯრის მინა იყო გატეხილი, დაუყოვნებლივ შეცვლიდა.

ძალიან მეგობრულები იყვნენ ყველას მიმართ. საოცარი გვერდით დგომა იცოდნენ ჭირსა თუ ლხინში. მიუხედავად უამრავი სიკეთის კეთებისა, ამ ოჯახს დიდი განსაცდელი დაატყდა თავს. ჯერ იყო და სრულიად ახალგაზრდა რძალი – მზია გუდავაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. დარჩა ობოლი შვილიშვილი –3 წლის ალექსანდრე (ალიკა) ჯინჭარაძე. შვილივით ზრდიდნენ მას.

შემდეგ, კვლავ მოულოდნელად, შუახნის ასაკში რამინ ჯინჭარაძე გარდაიცვალა. მწუხარება გაგრძელდა და მოკლე დროში უფროსი ვაჟი –ალიკას მამა დათოც გარდაიცვალა.

ცხოვრება გრძელდებოდა. შვილიშვილი ალიკა ბოლო წლებში ავადმყოფობდა, უმცროს ვაჟს – გოჩასაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. 3 წლის წინ, ერთ დღეს გარდაიცვალა ქალბატონ მაყვალს შვილი და შვილიშვილი – გოჩა და ალექსანდრე. მიუხედავად ამ დიდი ტრაგედიებისა, იგი სიცოცხლის ბოლომდე მედგრად იდგა. ყურადღებას არ აკლებდა ქმარ-შვილის, რძლის, შვილიშვილის საფლავებს. მუდამ მზად იყო გამასპინძლებოდა გოჩას და ალიკას მეგობრებს.

რამდენიმე თვის უკან, თავადაც გათავისუფლდა ამქვეყნიური ხვედრისგან და მისი ოჯახის წევრებთან წავიდა.

მინდა ვირწმუნო, რომ მისი სული მეტ სიმშვიდეს დაეუფლება იმქვეყნიურ საცხოვრისში.

დალანა ციცაკი.

ანგელინა ნიკოლაიშვილი

ჩემი საჭირისუფლოდან, მეგობრებიდან და სამეზობლოდან, სამწუხაროდ, უკვე ბევრი წავიდა იმ ქვეყნად. საყვარელ ადამიანებთან სამუდამოდ გამოთხოვებას ყოველთვის ახლავს მწუხარება და ცრემლები, დარდობ იმაზეც, რომ ზოგიერთ მთგანს შენს ცხოვრებაში ვერავინ შეცვლის.

ბევრმა ოზურგეთელმა და მათ შორის მეც, ძალიან განვიცადეთ ქალბატონ **ანგელინა ნიკოლაიშვილის** გარდაცვალება.

ოგი ანასეულის სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცნობილი და დიდი კოლექტივის ღირსეული წევრი იყო. რიგითმა სპეციალისტმა მეცნიერებათა დოქტორობას მხოლოდ საკუთარი ცოდნით, შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით მიაღწია. როგორც მაღალკვალიფიციური ენტომოლოგი კითხულობდა ლექციებს სტუდენტებთან და ახალბედა კოლეგებთან, ნაყოფიერად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან, მისგან საჭირო რჩევა-დარიგებებს ღელობდნენ მკვლარეთა დაცვის საკითხებით დაინტერესებული პირები.

ასეთმა აქტუალურმა და მრავალმხრივმა საქმიანობამ იგი რაიონის საზოგადოების დიდ ნაწილთან დააკავშირა, უფრო ფართო გახდა მისი ნაცნობ-მეგობართა წრე.

რაც უსაზღვრო ბედნიერებას ანიჭებდა, ეს იყო შინაურებისა და ახლობლების გარემოცვა. განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება ჰქონდა თანაკლასელებთან, თავისიანად მიიჩნევდა იმ კოლეგებს, რომელთა გერდით ათეული წელი იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე. ყველა უყვარდა და ყველას უყვარდა.

სამეზობლოსაც კარგად დაგვამახსოვრა თავი. რა შემთხვევაც არ უნდა გქონოდა ეზოში არაფერს გამოაკლდებოდა, ყველანაირ დახმარებას გაგიწევდა და გაგამხნევებდა.

ხელსაქმეც კარგად იცოდა. თავისუფალ დროს ხან კერავდა, ხანაც ქსოვდა ფერთა შეხამებითა და ლამაზად.

დიდხანს არ ყოფილა ავად. დიდი ყურადღება ჰქონდა ექიმებიდან და შინაურებიდან, მაგრამ მისი ცხორების მურგი დაირღვა ბოლომდე და სიცოცხლეც დასრულა. ასეა ძველთაგან ნათქვამი. ვის შეუკავებია სიკვდილი?!

ყველა მოწყენილი ვართ. მოიწყინეს ქოთნის ყვავილებმა და პალმებმა სამსახურში და სახლშიც რომ ჰქონდა გამოფენილი და თავს ეკლებოდა.

აღარ მოგვესალმება ხელის აწევით და ღიმილით აღარ ჩამოვდება ჩვენთან ერთად ჭადრების ბაღში თუ ეზოში.

ამ ბოლო ხანს ხშირად ამბობდა, არ შემიძლიაო, მაგრამ, რატომღაც ძნელად ვიჯერებდით. თურმე მართალი ყოფილა.

ანგელინა ნიკოლაიშვილი ამ ორმოცი დღის წინ დაიკრძალა მოიდანახის სასაფლაოზე. ახლა ერთად არიან დედა, მამა და მათი ერთადერთი შვილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამივენი.

გულსუნდა მახარაძე

სკანვორდი



№ 2-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

ნოდარ ბერიძე – „ალიონი“ – „ეროვნული“ – „ბალანსი“ – „ბალანსი“ – „ბალანსი

ქართველები მეორე სახელმწიფო სათათბიროში

აგრარული რეფორმის გატარება



1906 წლის 9 ნოემბრის იმპერატორის ბრძანებულება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უნდა დემტკიცებინა. ბრძანებულება, რომელიც 1907 წლის იანვრიდან ამოქმედდა, მესამე სახელწლმწიფო სათათბირომ და სახელმწიფო საბჭომ მხოლოდ 1910 წლის 14 ივნისს დაამტკიცა. ამის შემდეგ ნიკოლაი II-მ დოკუმენტს ხელი მოაწერა და მან კანონის ძალა შეიძინა. კანონი ასე იწოდებოდა:„**გლეხური მიწის მფლობელობის შესახებ ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.**“ კანონმა მნიშვნელოვნად გააადვილა გლეხის თემიდან გასვლა და სათემო მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება. 1907-1915 წლებში თემიდან გასვლა 2.755.000-მა კომლმა ითხოვა, ხოლო თემიდან უკვე გასულმა 818.000 კომლმა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოითხოვა. ამრიგად, სასოფლო თემიდან გასვლა 3.373.000-მა კომლმა მოითხოვა, თუმცა პრაქტიკულად თემიდან 2.008.000 კომლი გავიდა. თემიდან, პირველ რიგში, ღარიბი და შეძლებული გლეხთა კომლები გავიდნენ, საშუალო შეძლების გლეხობა დროებით თავს იკავებდა. თემიდან გასულ გლეხთა კომლებისაგან 914.000 კომლმა დაუყოვნებლივ გაყიდა უძრავ-მოძრავი ქონება, რათა გლეხთა ბანკის საშუალებით ციმბირში ეყიდა მიწა. თემიდან დიდი რაოდენობით გლეხთა კომლები ნოვოროსიის გუბერნიებში გავიდნენ (60%), შემდეგ მოდიოდა მარჯვენა ნაპირის უკრაინის გუბერნიები(50%) და ცენტრალური რუსეთი: სამარის გუბერნია(49%), კურსკის გუბერნია(44%), ორიოლის გუბერნია(39%), მოსკოვის გუბერნია(31%), სარატოვის გუბერნია(28%) და ა.შ. 1915 წლისათვის თემიდან გასვლისა და მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცების მოთხოვნელი 6.200.000 კომლიდან მიწის კერძო საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი 2.400.000 კომლმა მიიღო.

პიოტრ სტოლიპინის მკვლელობის (1911 წ.) შემდეგ აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებას სათავეში ჩაუდგა მიწათმოწყობისა და მიწათმფლობელობის მთავარმმართველი ალექსანდრ კრივოშეინი, რომელიც 1908 წლიდან პიოტრ სტოლიპინის ერთგული თანამებრძოლი და თანაშემწე იყო.

აგრარული რეფორმის წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა გლეხთა კომლების გადასახლება ციმბირში, სადაც ახალმოსახლეთათვის 12 რაიონი იყო გამოყოფილი. ციმბირში გადასახლებულ გლეხის კომლს, კანონის ძალით, შეეძლო მიეღო: კომლის ყოველ 1 სრულწლოვან მამაკაცს – 15 დესეტინა სახნავიდა 3 დესეტინა ტყე. მართალია, გლეხობამ მიწა დიდი რაოდენობით მიიღო, მაგრამ კომლების უმრავლესობას არ გააჩნდა ფული ცხენების, ძროხების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად. რეფორმის წლებში სულ ციმბირში 3.730.000 კომლი და 730.000 სული ბედის მაძიებელი გადასახლდა. ძირითადი მასა (60%) ციმბირში 1907-1910 წლებში წავიდა. 1910 წლისათვის ციმბირში მიწა ვერ მიიღო და მეურნეობა ვერ შექმნა დაახლოებით 700.000-მა კომლმა. მოუხედავად ამისა, ციმბირში გლეხობის გადასახლების შემდეგ უკაცრიელ ადგილზე რამდენიმე ათასი სოფელი აღმოცენდა. 1911 წლისათვის გადასახლებულებს უკვე 30.000.000 ჰექტარი სახნავი მიწა ჰქონდათ ათვისებული. ციმბირდან ცენტრალურ გუბერნიებში დიდი რაოდენობით იგზავნებოდა ხორბალი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.

პიოტრ სტოლიპინის აგრარული რეფორმის შედეგად პირველი რვა წლის განმავლობაში სასოფლო თემიდან გლეხური კომლების საერთო რაოდენობის მეოთხედი გავიდა. გარდა ამისა, მიწის კერძო მესაკუთრე 2.800.000 კომლი გახდა. თემიდან გასულთაგან 1.600.000-მა კომლმა ხუტორული მეურნეობა მოაწყო. აგრარული რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. 1906-1910 წლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 4.000.000 დესეტინით გაიზარდა, 1911-1915 წლებში – 7.000.000 დესეტინით. 1 დესეტინაზე ხორბლის მოსავლიანობა საშუალოდ 12-15%-ით გაიზარდა. 1904-1908 წლებში რუსეთიდან უცხოეთის ბაზრებზე გაიტანეს 470.000.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, 1909-1913 წლებში –637.000.000 მანეთისა. გაიზარდა მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე. 1906 წელს რუსეთში დამზადებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების საერთო ღირებულება 39.000.000 მანეთს შეადგენდა, 1912 წელს – 131.000.000 მანეთს.

პიოტრ სტოლიპინის აგრარულ რეფორმას, გარდა დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობისა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. თავადაზნაურობა და მიწის მფლობელობის ის წესი, რომელიც რუსეთში XX საუკუნის დამდეგისათვის არსებობდა, იმპერიაში პოლიტიკურ სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფდა. აუცილებელი იყო ახალი სოციალური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას და, აქედან გამომდინარე, საერთო ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებდა. შეძლებული გლეხობა გადაიქცეოდა იმ სოციალურ ძალად, რომელიც პოლიტიკური სისტემის დასაყრდენი გახდებოდა. დიდი რეფორმატორის, პიოტრ სტოლიპინის, მკვლელობამ და შემდეგ დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა შეუძლებელი გახადა რეფორმის დროულად და წარმატებით დაგვირგვინება.

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

1905 წელს დაწყებული რევოლუცია უპირატესად სოციალური და ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობებზე აღმოცენდა. მაგრამ რევოლუციის დაწყებიდან სულ მოკლე ხანში საქართველოში ამ საკითხების გვერდით მთელი სისრულით დადგა ქართული სინამდვილის, ქართველი ერისთვის ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი: **ეროვნული** –ბრძოლა საქართველოს ავტონომიისათვის და **ეკლესიური** –ბრძოლა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ეს იყო იმ დიდი ბრძოლის გაგრძელება, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით დაიწყო ქართველმა ერმა და რომელმაც დიდ გამარჯვებას მიაღწია: ქართველი ერი ჩაება შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის ბრძოლაში, წინ აღუდგა საქართველოს რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევას, შეინარჩუნა ენა, კულტურა და ეროვნული ცნობიერება.

ეროვნული საკითხი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

ეროვნული საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ პოლიტიკური პარტიები თავიანთ პროგრამებში ადგილს უთმობდნენ ამ მტკივნეული პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამაში, რომელიც 1903 წელს პარტიის II ყრილობაზე იქნა მიღებული, ეროვნუს საკითხს ორი მუხლი აქვს დათმობილი:

"8.(...) მოსახლეობის უფლებას მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; თვითეული მოქალაქის იმ უფლებას, რომ მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს კრებებზე; მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი ენის თანაბრად.

9. (...)სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას."

რსდმპ II ყრილობაზე ეროვნულმა საკითხმა დიდი პოლემიკა გამოიწვია. საბოლოოდ გადაწყდა, რომ საკითხი ფართოდ არ ყოფილიყო წარმოდგენილი პროგრამაში, დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ ზოგადი დებულებებით, რომლებიც მისაღები იქნებოდა ყველასათვის. ცხადია, ეს იყო კომპრომისული გადაწყვეტილება, რაც პროგრამის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენდა. მაგალითად, ყრილობამ თავი აარიდა პროგრამაში თუნდაც რამდენიმე წინადადებით განემარტათ, თუ რას ნიშნავდა **„ერთა თვითგამორკვევის უფლება“**, ნიშნავდა იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მცხოვრები არარუსი ერებისათვის ავტონომიური ერთეულის შექმნის უფლებას, თუ რუსეთიდან გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას? უკვე **რსდმპ II ყრილობაზე ნათლად იგრძნობოდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია (მომავალი მენშევიკები და ბოლშევიკები) რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ერებისათვის ავტონომიური მმართველობის უფლების მინიჭებას არ აპირებდნენ, წარმოუდგენლად მიაჩნდათ რუსეთის უნიტარული სახელმწიფოს ერთა ფედერაციულ კავშირად გარდაქმნა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ რუსეთიდან ერთ დროს დაპყრობილი ერების გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას.**

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ, რომელიც 1904 წელს შეიქმნა, პროგრამა მოგვიანებით, 1907 წელს, III კონგრესზე დაამტკიცა. პროგრამაში ეროვნული საკითხი ასე იყო წარმოდგენილი:

"12. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრის წინააღმდეგია და მოითხოვს, ყოველ ერს მიეცეს ნება, თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც მას უნდა. სრული მოსპობა კი ეროვნულის უთანასწორობისა მოხდება მაშინ, როდესაც დამყარდება სოციალიზმი.

15. ა) ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია; სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა.

ბ) ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს ან ავტონომიებს უფლება აქვთ, შეადგინონ დროებითი და სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასაძღოლად.

გ) სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია მოითხოვს დღესვე საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

16. დემოკრატიზაცია ადგილობრივ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა; ფართო ადგილობრივი საერობო და სამუნიციპო (სოფლებისა და ქალაქების) თვითმმართველობა; სახელმწიფო მოხელეების არჩევა ნაცვლად დანიშვნისა მთავრობის მიერ. შემოღება ადგილობრივ დაწესებულებებში ადგილობრივ მცხოვრებთა ენებისა; ნაციონალურ უმცირესობის კულტურულ, განმანათლებელ საჭიროებისთვის გადადება საერთო შემოსავლიდან, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, განსაზღვრულ ნაწილისა და ამ თანხის გადაცემა ნაციონალურ უმცირესობის განკარგულებაში."

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან განსხვავებით, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამა უფრო კონკრეტული იყო. ეს იმით იყო განპირობებული, რომ 1905 წელს დაწყებულმა რევოლუციამ ბევრი ისეთი საკითხი დააყენა, რომლებსაც წინათ დიდი ყურადღება არ ეთმობოდა.

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამაში, რომელიც 1902 წელს მიიღეს, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები არარუსი ერების უფლებები საერთო-პოლიტიკური უფლებების ჩამონათვალშია შეტანილი:

"დაწესება დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ოლქთა და თემების ფართე ავტონომიით როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც; რაც შეიძლება ფედერატიულ საფუძვლის უფრო ფართე შემოღება კერძო ეროვნებათა ურთიერთობაში; მათ უნდა მიენიჭოს ნამდვილი უფლებები თვითგამორკვევისთვის; პირდაპირი, დაფარული, თანასწორი, საყოველთაო საარჩევნო უფლება ყველა მოქალაქესათვის არა უმცირეს ოცი წლისა, - პროპორციონალური წარმომადგენლობა; პირდაპირი კანონმდებლობა (რეფერენდუმი და ინიციატივა); ამორჩევა, გამოცვლა და პასუხისმგებლობა ყოველ დროს ყველა მოხელე პირთა; სრული თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, მუშათა გაფიცვებისა და კავშირისა; სრული და საყოველთაო მოქალაქეობრივი თავისუფლება, ხელშეუხებლობა ბინისა და პიროვნებისა; სრული განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან და სარწმუნოების კერძო საქმედ აღიარება თვითეულ მოქალაქისათვის; შემოღება საყოველთაო სავალდებულო, საერთო განათლების მიღებისა სახელმწიფო ხარჯზე; ენების თანასწორობა; სასამართლოს წარმოება უფასო; მუდმივი ჯარის გაუქმება და ხალხის შეიარაღება."

ცხადია, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ეროვნული პროგრამაც ძალზე ზოგადი იყო და იგი დაკონკრეტებას საჭიროებდა.

ქართული სოციალ-დემოკრატია და ეროვნული მოძრაობა

ქართული სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ 1898-1901 წლებში მკვეთრად დაუპირისპირდა **ილია ჭავჭავაძესა** და საერთოდ, „ივერიის“ ბანაკს, ეროვნული მოძრაობის ილიასეულ კონცეფციას. ცოტა მოგვიანებით, 1901-1902 წლებიდან, ქართველი სოციალ-დემოკრატები დაუპირისპირდნენ **არჩილ ჯორჯაძის** იდეური ხელმძღვანელობით გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო შემოკრებილ მომავალ სოციალისტ-ფედერალისტებს და მათ მიერ წამოყენებულ საქართველოს ავტონომიის იდეას. 1900 წელს ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის გამართული ცხარე პოლემიკის შემდეგ ილიას წინააღმდეგ ბრძოლამ თანდათან მეორე რიგში გადაინაცვლა. სამაგიეროდ, წინ წამოიწია არჩილ ჯორჯაძის საქართველოს ავტონომიის იდეის უარყოფის კამპანიამ. გაზეთები „კვალი“, „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“ 1901-1904 წლებში დიდ ადგილს უთმობდნენ ავტონომიის იდეის კრიტიკას. ამ მხრივ ძალზე აქტიურობდნენ **ირაკლი წერეთელი, იოსებ სტალინი, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე წულუკიძე.** ავტონომიის იდეის წინააღმდეგ მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის იმპერიის ავტონომიურად მოწყობა რიცხვით მცირე ერების სოციალ-დემოკრატიას და პროლეტარიატს მოსწყვეტდა ველიკოროსიის სოციალ-დემოკრატიისა და პროლეტარიატისაგან, რაც იმას მოასწავებდა, რომ დაიქსაქსებოდა, დასუსტდებოდა ის ძალები, რომლებსაც არსებული წყობილება უნდა დაემხო. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ღრმად სწამდათ, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლა, რომლის პირველ ეტაპად ისინი თვითმპყრობელობის დამხობას თვლიდნენ, აუცილებლად მოითხოვდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ერის პროლეტარიატის, საერთოდ, მშრომელი მასებისა და სოციალ-დემოკრატიის მჭიდროდ დარაზმვას და არა – მის დანაწილებას ეროვნულ ავტონომიებში.

(გაგრძელება იქნება)
ვახტანგ გურული

საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918,) ტ.3. გვ. 386-389

„ბურიის რესპუბლიკა“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე

29, 30 იანვარს, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერა შედგა. წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „**ბურიის რესპუბლიკა** “. მაყურებელმა მოწვეული რეჟისორის – **ნიკოლოზ საბაშვილის** საავტორო სპექტაკლის პრემიერა იხილა.

წარმოდგენა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსის: „კულტურის სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტია.

ალექსანდრე წუწუნავა 141 წლის გახდა!

141 წლის წინ, 28 იანვარს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში ვაჟი დაიბადა – ალექსანდრე რაჟდენის ძე წუწუნავა. ამ ვაჟმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო საქართველოში და ქალაქ ოზურგეთში პროფესიული სასცენო ხელოვნების – თეატრი, კინო, ოპერა დაბადება-განვითარებას.

საამაყოა, რომ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებლია საქართველოს პირველი პროფესიონალი რეჟისორი სცენარისტი მისი ბიოგრაფიის ბევრ ვერსიაში ამის შესახებ გაკვრით ან თითქმის არ არის საუბარი.

1914 წლის 1 ივნისს ოზურგეთის თეატრის აღდგენილი შენობა 500 ადგილიანი მაყურებელთა დარბაზით საზეიმოდ სწორედ ახალგაზრდა რეჟისორის ალ. წუწუნავას პრემიერით გაიხსნა სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება“. სპექტაკლში მონაწილეობდა ლადო მესხიშვილი.

ვულოცავთ ყველა თეატრალს ამგდარი რეჟისორის იუბილეს და ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ვუსურვებთ წუწუნავებთან, გერმანე გოგიტიძესთან, ვასო ურუშაძესთან, სანდრო ჟორჟოლიანთან, სესელია თაყაიშვილთან და სხვა კაშკაშა სახეებთან ერთად დაწყებული ისტორია შესაბამისი შემოქმედებითი გამარჯვებებით შეევსოს.

ფოტოზე: ალ. წუწუნავა, ქეთევან მაღალაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე.

ალტურისტები (უანგარონი)

თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა გადავუხადო საჩუქრებისა და სანტექნიკის თანამშრომლებს – **ლაურა** და **მანანა მიქელაძეებს**, რომლებიც თავიანთი მცირე შემოსავალიდან ყოველ შობას საჩუქრებს მიძღვნიან პროდუქტების სახით.

უფალი ფარავდეს მათ.

პოლინა გოგუა,
პენსიონერი პედაგოგი

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს

ტარიელ ჩოლობარგია

გამოაკლდა.

ოზურგეთის თეატრი მწუხარებას გამოთქვამს ტარიელ ჩოლობარგიას გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მამა იოსებმა ლიხაურის საჯარო სკოლას 1200 ცალი წიგნი საჩუქრად გადასცა

ლიხაურის მამათა მონასტრის წინამძღვარმა **მამა იოსებმა** ლიხაურის საჯარო სკოლას საჩუქრად 1200 ცალი წიგნი გადასცა.

–1200 ცალი წიგნი საჩუქრად ლიხაურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას–მამა იოსებისაგან გადადაეცა.

უნიკალური გამოცემები: ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა, გეოგრაფია, სოფლის მეურნეობა, ანტიკური პერიოდის ავტორები, „ქართლის ცხოვრება“, ქართველი და უცხოელი კლასიკოსები ამ საგანძურს წლების განმავლობაში აგროვებდა მამა იოსები, უანდერძა მომავალ თაობებს.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დაგვირეკა მამამ, რომ დავბრუნდები მონასტერში, მოდით და წაიღეთ წიგნებიო. ეგება მოვკვდე და ჯავრად წამყვებაო.

დღეს წამოვიღეთ ძვირფასი საჩუქრები და ლიხაურელი ახალგაზრდების თაობებს გაზრდის ეს ბიბლიოთეკა.

მადლობა მამა იოსებს –გვითხრა სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა **ირმა გორდელაძემ.**

„სიბერე-სიხარულია“

სიბერე სიხარულია –ასაკი მხოლოდ რიცხვებია – ამ სლოგანით ჩატარდა სოფელ ჭანიეთში ძველების შეხვედრა ძველით ახალ წელთან.(სოფლის გამგებელი ზაზა სალუქვაძე,კლუბის გამგე მზევინარ მემარნიშვილი).

პანდემიიდან გამომდინარე რეგულაციების გამო ღონისძიება შეზღუდული ფორმატით ჩატარდა. შეხვედრაზე მოწვეული იყო სოფლის ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის –ლომჯარიების 80 წელს გადაცილებული წარმომადგენლები: ნაზი, ხატუა, გურამ, ლადო, თამაზ ლომჯარიები.

სოფლის გამგებელმა ზაზა სალუქვაძემ კალანდა მიულოცა მათ და წარმატებები უსურვა.

მოწვეულმა სტუმრებმა გაიხსენეს თავიანთი ბავშობა. ახალგაზრდებს შეახსენეს, რომ სოფლის წინსვლა და ძლიერება მათზეა დამოკიდებული. ღონისძიების ვარსკვლავი იყო 4 წლის ნინი ლომჯარია, რომელმაც კალანდა სიმღერით მიულოცა ლადო ბაბუას. ლექსი „სტუმარი გურიაში“ –წაიკითხა მარიკუნა მჟავიამ, ხოლო ჭანიეთის კოლორიტის მიხეილ შაიშვილის ლექსი „აი, ასეთი სამშობლო მინდა“–ცარო შავიშილმა.

მუსიკალური ნომრების შესრულებაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პატარები: თაზო ლომჯარია, ძმები იოანე და ნიკა მათოშვილები; უფროსი თაობის წარმომადგენლები: დარეჯან სხვიტარიძე, მანანა მემარნიშვილი, გელა ლომჯარია.

ღონისძიების დასასრულს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა ლექტორმა დალი ლომჯარიამ მიეფერა ძველებს და გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამ პატარა, ლამაზ სოფელში ბევრი გამორჩენილი პიროვნება აღიზარდა, დღეს კი სოფელი გათითოკაცებულია და ასეთი შეხვედრის ჩატარება აუცილებელია, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს ციური ბაბილოძეს და ნაზი გოლიაძეს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

31 იანვარი, ორშაბათი	1 თებერვალი, სამშაბათი	2 თებერვალი, ოთხშაბათი	3 თებერვალი, ხუთშაბათი	4 თებერვალი, პარასკევი	5 თებერვალი, შაბათი	6 თებერვალი, კვირა
ძლიერი წვიმა +2+8	მზე, ღრუბელი +5+10	მზე, ღრუბელი +5+13	მზე, ღრუბელი +6+12	ძლიერი წვიმა +2+8	წვიმა, თოვლით +1+8	წვიმა, თოვლით +3+9